ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N 2

30.01.2018

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

დღის წესრიგში წარმოდგენილია **5** ძირითადი საკითხი:

1. **მაგისტრატურის 2018–2019 სასწავლო წლის ანკეტა–კითხვარის დამტკიცება;**
2. **ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროგრამების სილაბუსებში ტექნიკური ხასიათის ცვლილებების შეტანა;**
3. **ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედ სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამებში შეტანილი ცვლილებები;**
4. **ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის შემადგენლობის დამტკიცება;**
5 **დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების კომისიის წევრის დამატება.**

სხდომას ესწრებოდნენ:

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი:

ლალი სურმანიძე, მზია წერეთელი.

ასოცირებული პროფესორები :

მანანა მელიქიშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, ხათუნა მარწყვიშვილი, თამრი აბაშიძე, გიორგი გოროშიძე, ვახტანგ ნადარეიშვილი, ირინე ჟვანია, მედეა დესპოტაშვილი, შორენა მამუკაძე.

ასისტენტ პროფესორები:

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორი :

ზაქარია ქიტიაშვილი, იზაბელა პეტრიაშვილი.

სტუდენტთა თვითმმართველობა:

ანა გელაშვილი, პაატა ჯოლბორდი, დიანა ზვიადაძე, ელენე გავაშელი, სალომე თოფურია.

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა **სულ 19 წევრი**

დებულების თანახმად ფაკულტეტის საბჭოს თავჯდომარის, პროფესორ თამარ გაგოშიძის, კუთვნილ შვებულებაში ყოფნის გამო, მდივანმა, ასოც. პროფ. ზაქარია ქიტიაშვილმა, 2018 წლის რიგით მეორე ფაკულტეტის საბჭოს თავჯდომარედ დაასახელა ასოც. პროფესორ ხათუნა მარწყვიშვილის კანდიდატურა. საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ კანდიდატურას და დაამტკიცა ერთხმად:

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

განიხილეს:

1. მაგისტრატურის 2018–2019 სასწავლო წლის ანკეტა–კითხვარის დამტკიცება;

ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა, საბჭოს მოახსენა, რომ მაგისტრატურის 2018–2019 სასწავლო წლის ანკეტა–კითხვარში, წინა კითხვარისაგან განსხვავებით, შესულია მცირე ცვლილება, კერძოდ, სამაგისტრო პროგრამაზე „იურიდიული ფსიქოლოგია" მიღების წინაპირობა– გამოცდა ინგლისურ ენაში, ჩანაცვლდა გასაუბრებით უცხო ენაში.

ხოლო სამაგისტრო პროგრამაზე „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია" მიღების წინაპირობა – გამოცდა ინგლისურ ენაში, ჩანაცვლდა გასაუბრებით ინგლისურ ენაში.

მომხსენებელმა მიმართა საბჭოს წევრებს, რომ წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია 2018–2019 სასწავლო წლის ანკეტა–კითხვარის დამტკიცებასთან დაკავშირებით.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ 2018–2019 სასწავლო წლის ანკეტა–კითხვარს და დაამტკიცა ერთხმად:

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

2. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროგრამების სილაბუსებში ტექნიკური ხასიათის ცვლილებების შეტანა.

ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა, საბჭოს მოახსენა, რომ უნივერსიტეტი აქტიურად ემზადება ავტორიზაციის გასავლელად, რაც, თავის წილ, მოითხოვს ფაკულტეტზე მოქმედი პროგრამების სილაბუსების ცენტრალური ხარისხის მიერ მოწოდებული ინსტრუქციების მიხედვით გადასინჯვას, ეს კორექტირება ძირითადად ეხება სილაბუსის გაფორმების ტექნიკურ მხარეებს. შესაბამისად, ხარისხის სამსახური არ აწუხებს პროგრამის ხელმძღვანელებს და თავად შეაქვს ტექნიკური ხასიათის ცვლილებები სილაბუსებში. .

მომხსენებელმა მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ მხარი დაუჭირონ ტექნიკური ხასიათის ცვლილებების შეტანას ფაკულტეტზე მოქმედი პროგრამების სილაბუსებში.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად:

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

3. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედ სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამებში შეტანილი ცვლილებები.

ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა, საბჭოს მოახსენა, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელების მიერ ხარისხის სამსახურში წარმოდგენილია სილაბუსებსა თუ პროგრამებში შესატანი ცვლილებების ნუსხა, რომელსაც წარმოადგენს საბჭოს წინაშე და მათი მართლზომიერად ცნობის შემთხვევაში სთხოვს საბჭოს წევრებს მხარი დაუჭირონ აღნიშნული ცვლილებების შეტანას. აქვე, მომხსენებელმა სრულად წარმოადგინა ცვლილებათა სრული ნუსხა:

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა:

1. დაემატა ახალი არჩევითი საგანი: „მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით (ბ. არუთინოვი, ხ. მარწყვიშვილი)

სამაგისტრო პროგრამა – ბავშვთა და მოზარდთა შეფასება და კონსულტირება:

1. ამოღებულია საგანი–"დევიაციური და ნორმატიული ქცევის ფსიქოლოგია";

დაემატა ახალი არჩევითი საგნები:

2. " კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია" (ვ. ნადარეიშვილი);

3. „სამართლის ფსიქოლოგია" (ვ.ნადარეიშვილი);

4. „თერაპიული პროცესის წარმართვისთვის საჭირო უნარების განმავითარებელი პრაქტიკული კურსი" (ნ.კუჭუხიძე; ლ.ბუწაშვილი);

5. სასწავლო საგანი – ჯგუფური მუშაობის მეთოდები ბავშვებთან 2; სავალდებულო საგნის ნაცვლად გახდება არჩევითი საგანი (მ. მელიქიშვილი).

სამაგისტრო პროგრამა – შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია:

1. ამოღებულია საგანი–"დევიაციური და ნორმატიული ქცევის ფსიქოლოგია";

   დაემატა ახალი არჩევითი სასწავლო საგანი:

2. " სამართლის ფსიქოლოგია" (ვ. ნადარეიშვილი).

სამაგისტრო პროგრამა: ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინური) :

1. დაემატა ახალი არჩევითი საგანი – "დიალოგური სელფის თეორიის საფუძვლები" (ვ. გამსახურდია)

სამაგისტრო პროგრამა – იურიდიული ფსიქოლოგია:

დაემატა ახალი არჩევითი საგნები:

1. სისხლის სამართლის მართლსაჯულების ძირითადი ინსტიტუტები (მ. შალიკაშვილი);
2. კრიმინოლოგია (მ.შალიკაშვილი).

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ ცვლილებებს და დაამტკიცა ერთხმად:

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

4. **ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის შემადგენლობის დამტკიცება;**

ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა, საბჭოს მოახსენა, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, უნივერსიტეტი აქტიურად ემზადება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გასავლელად, რაც, მოითხოვს ფაკულტეტებზე შეიქმნას პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტი. ცენტრალური ხარისხის სამსახურისგან მივიღეთ რეგულაცია, რომ კომიტეტის წევრებად განისაზღვრონ: პროგრამის ხელმძღვანელი, განმახორციელებელი აკად. პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულნი. კომიტეტის წევრების შერჩევისას პროგრამის ხელმძღვანელებს ეთხოვათ, წარმოედგინათ როგორც პროგრამის განმახორციელებელი აკად. პერსონალი, ისე დანარჩენი წევრები.

აზრი გამოთქვეს:

<u>ასოც. პროფ. გიორგი გოროშიძე</u> - ვფიქრობ, ასე ნაუცბათევად, დაუგეგმავად და ჩვენთან შეუთანხმებლად არ უნდა შერჩეულიყო კომიტეტის შემადგენლობა. არც ის მიმაჩნია მართებულად, რომ ერთი, მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელი წყვეტდეს წევრების საკითხს.

<u>პროფესორი ლალი სურმანიძე</u> - ბ-ნო გოგი, ეს ცენტრალური ხარისხის სამსახურის მიერ მოწოდებული რეგულაციაა, კონსულტაციებზეც სწორედაც პროგრამის ხელმძღვანელები იყვნენ მხოლოდ დაბარებულნი, რადგან პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა სწორედ მათ ეკუთვნით.

<u>ასოც. პროფ. ეკატერინე ფირცხალავა</u> - მე ვერ ვხედავ ვერაფერს არამართებულს ასეთ რეგულაციაში, ჩვენი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებმა - ქ-ნმა ნანამ და ანიმ თავად დამირეკეს და შემომთავაზეს კომიტეტის წევრობა. რა თქმა უნდა, ეს მათი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელების ცალსახა უფლება და , იმავდროულად, პასუხისმგებლობაა.

<u>ასოც. პროფ. გიორგი გოროშიძე -</u> ეგ გასაგებია, მაგრამ რამდენად არის ღია ცვლილებებისა და ლავირებისთვის ეს კომიტეტი, ვთქვათ, ახალი პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, ისევ სხვები იქნებიან მისი შემფასებლები?

<u>ასოც. პროფ. მანანა მელიქიშვილი</u> - ბ-ნო გოგი, რა თქმა უნდა, როგორც კი შემუშავდება, ჩვენს შემთხვევაში, ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ფარგლებში რომელიმე საფეხურის პროგრამა, ავტომატურად პროგრამის ხელმძღვანელი და მონაწილე აკად. პერსონალი შევა კომიტეტში.

<u>ასოც. პროფ. გიორგი გოროშიძე -</u> გასაგებია, თუ კი ეს ფორმატი იმუშავებს, მაშინ საწინააღმდეგო მე არაფერი არ მაქვს ამ ეტაპზე.

<u>სტუდენტი სალომე თოფურია</u> - თუ კი ეს კომიტეტი პროგრამის განვითარებაზეა ორიენტირებული, მაშინ თავად ამ პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობა კითხვებს აჩენს.

<u>ასოც. პროფ. ზაქარია ქიტიაშვილი</u> - ჩვენ ვიცნობთ მონიტორინგის, შეფასების თუ რეცენზირების როგორც შიდა ინსტიტუციონალურ, ისე გარე შეფასების პრაქტიკას. შესაბამისად, სწორედ პროგრამის ხელმძღვანელისა და მონაწილე აკად. პერსონალის მიერ შესრულდება თვითშეფასება.

მსჯელობის შემდეგ მომხსენებელმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა, საბჭოს წარუდგინა ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და

განვითარების კომიტეტის სრული შემადგენლობა და სთხოვა, მხარი დაუჭირონ წარდგენილ საკითხს.

<u>ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფსიქოლოგიისა დეპარტამენტის, პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის შემადგენლობა:</u>

1. **ირინე დარჩია** - თსუ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2. **ქრისტინე ჩიხლაძე** - თსუ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
3. **მანანა მელიქიშვილი** - თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
4. **თამარ გაგოშიძე** – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
5. **ლალი სურმანიძე** – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი
6. **ხათუნა მარწყვიშვილი** – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი
7. **მზია წერეთელი** – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროფესორი
8. **ნანა სუმბაძე** – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროფესორი
9. **იამზე კუტალაძე** – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროფესორი
10. **ანასტასია ქიტიაშვილი** – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი
11. **შორენა მამუკაძე** – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი
12. **ვახტანგ ნადარეიშვილი** – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი
13. **ლუიზა არუთინოვი** –თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი
14. **ლილი ხეჩუაშვილი** – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი
15. **მაია მესტვირიშვილი** – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი
16. **მაია რობაქიძე** – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი
17. **ეკატერინე ფირცხალავა** – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი
18. **ია აფთარაშვილი** – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასისტენტ პროფესორი

19. **ვლადიმერ გამსახურდია** – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასისტენტ პროფესორი

20. **თეონა ლოდია** –თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასისტენტ პროფესორი

21. **თამარ ჯაყელი** – დოქტორანტი

22. **ბაია კუბლაშვილი** – მაგისტრანტი

23. **თეკლა ნარიმანიძე** – მაგისტრანტი

24. **თამარ ჩხაიძე** - დოქტორანტი

25. **თინა ბანძელაძე** – დოქტორანტი;

26. **მარიამ ცხადაზე** – მაგისტრანტი

27. **ხატია მუკბანიანი** – მაგისტრანტი

28. **ქეთი ზურაბიანი** – მაგისტრანტი

29. **ნინო ჯორჯაძე** – მაგისტრანტი

30. **ანა ჩადუნელი** – სტუდენტი

31. **ნუკრი ბერიძე** – სტუდენტი

32. **ერეკლე მაღლაკელიძე** – დოქტორანტი

33. **ქეთი კვალიაშვილი** – კურსადამთავრებული

34. **ნაზი ფარსადანიშვილი** – კურსადამთავრებული

35. **მაია მაჭავარიანი** – კურსადამთავრებული

36. **ნინო რუხაძე** – კურსდამთავრებული

37. **ოთარ კობახიძე** - კურსდამთავრებული

38. **მარიამ უგუზაშვილი** – კურსდამთავრებული

39. **ლიკა ბუწაშვილი** – კურსდამთავრებული

40. **ნინო წულაია** – კურსდამთავრებული

41. **ეკატერინე ლეჟავა** – დამსაქმებელი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებების დეპარტამენტის უფროსი

42. **მარინა მჭედლიშვილი** – დამსაქმებელი, აი ფი ემ კვლევები

43. **ცისანა ხუნდაძე** – დამსაქმებელი (CRRC)

44. **სოფიო კასრაძე** – დამსაქმებელი, ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო დირექტორი, მედიცინის დოქტორი,

45. **რუსუდან ბოჭორიშვილი,**– დამსაქმებელი, "პირველი ნაბიჯი"–ს პროგრამების ხელმძღვანელი

46. **ლაშა ხოჯანაშვილი** – დამსაქმებელი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია; კვლევისა და ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილე;

47. **ქეთევან აბდუშელიშვილი** – დამსაქმებელი, თბილისის კრიზისული ინტერვენციის სამსახურის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი.

48. **კობა თურმანიძე** – დამსაქმებელი, crrc–ის დირექტორი

49. **ელენე ოყროშიძე** – დამსაქმებელი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

საბჭომ კენჭი უყარა კომიტეტის წარმოდგენილ შემადგენლობას და დაამტკიცა ერთხმად:

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

5 დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების კომისიის წევრის დამატება.

სხდომის თავჯდომარემ, ასოც. პროფ. ხათუნა მარწყვიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ობიექტურ მიზეზთა გამო, საჭიროა საუნივერსიტეტო დაფინანსების კომისიის წევრის დამატება. მან აღნიშნა, რომ ხშირად კომისიის რომელიმე წევრი - აკადემიური პერსონალი - კომისიის მუშაობაში ვერ ღებულობს მონაწილეობას, რადგან ეს ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს, რადგან აკადემიურ პერსონალს არ აქვს კომისიაში მუშაობის უფლება თუ მისი დოქტორანტი კონკურსში მონაწილეობს. მომხსენებელმა საბჭოს შესთავაზა სამეცნიერო სამსახურის უფროსის - დიმიტრი ჩუბინიძის კანდიდატურა. მან აღნიშნა, რომ ეს, ერთი მხრივ, არ იქნება დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტთან, რადგან დიმიტრი ჩუბინიძე აკადემიური პერსონალი არაა და, მეორე მხრივ, მისი მონაწილეობა კომისიის მუშაობაში ძალიან მნიშვნელოვანია - კომისიის წევრებს ხშირად უწევთ სამეცნიერო სამსახურთან კონსულტაციის გავლა, კონკურსში წარმოდგენილი პუბლიკაციების, გამომცემლობებისა თუ საერთაშორისო კონფერენციების და კვლევითი პროექტების სამეცნიერო ბაზებში დაძებნა-ასოცირებასთან დაკავშირებით.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად:

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

1. **დამტკიცდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის 2018–2019 სასწავლო წლის ანკეტა–კითხვარი წარმოდგენილი სახით.**

2. **დამტკიცდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედ სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამებში შეტანილი ცვლილებები წარმოდგენილი სახით.**

3. **დამტკიცდეს ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის შემადგენლობა წარმოდგენილი სახით.**

4. **დაემატოს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედ დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების კომისიას ახალ წევრად სამეცნიერო სამსახურის უფროსი დიმიტრი ჩუბინიძე.**

5. **დამტკიცდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროგრამების სილაბუსებში შეტანილი ტექნიკური ხასიათის ცვლილებები.**

სხდომის თავმჯდომარე: ასოც. პროფესორი
ნათუნა მარწყვიშვილი /
/

სხდომის მდივანი: ასოცირებული პროფესორი
ზაქარია ქიტიაშვილი /
/